IBSU - ლიბერალური მიდგომა, საერთაშორისო ხარისხი, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი

Our Students Happiness and Satisfaction is Our Biggest Achievement

მერი ტალიაშვილი | MERI TALIASHVILI

ILYAS CILOGLU ON THE IBSU'S 23-YEAR COMMITMENT TO QUALITY EDUCATION STANDARDS PLACED AT PAR WITH THE BEST SCHOOLS AROUND THE WORLD.

23 წლის განმავლობაში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) დაუღალავად ემსახურება ქართველი ახალგაზრდებისა და აქ სასწავლებლად ჩამოსული უცხოელების უმაღლესი განათლების უზრუნველყოფას; აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და, ახალი უნარებისა და გამოცდილების შესაძენად, ყოველწლიურად, ასამდე სტუდენტს უშვებს იქ სასწავლებლად. უნივერსიტეტის რექტორი, ილიას ჩილოღლუ ფიქრობს, რომ ხარისხიანი და ევროპული სტანდარტის განათლების მიღება საქართველოში სრულიად შესაძლებელია და ამის დასტურად სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავს:

„ანალიზს ვაკეთებ ჩვენი უნივერსიტეტიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, ყოველ წელს, ასამდე სტუდენტს ვუშვებთ საზღვარგარეთ, სხვადასხვა, გაცვლითი პროგრამით, როდესაც ისინი ბრუნდებიან, მათთან გვაქვს შეხვედრები და ვადარებთ მათ იქ მიღებულ განათლებას ჩვენსას. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ უფრო მომთხოვნი ვართ სტუდენტების მიმართ, ვიდრე – სხვა ევროპული უნივერსიტეტები.

გარდა სტუდენტების უკუკავშირისა, მნიშვნელოვანია ავტორიზაციის ექსპერტების მოსაზრება, მაგალითად, შარშან, როცა ისინი ჩვენს უნივერსიტეტს ეწვივნენ, მათთან საუბრისას, იმედი გამოვთქვით, რომ მალე, ევროპას დავეწეოდით განათლების დონით; ერთ–ერთმა ექსპერტმა ბრიტანეთიდან, გვითხრა, რომ სწავლების ევროპაზე არანაკლები დონეა ჩვენთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტები, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტს ამთავრებენ და უცხოეთში მიდიან მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მისაღებად, ინგლისური ენის ცოდნისა და საერთო განათლების მხრივ, ძალიან დადებით შეფასებას იღებენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ IBSU ახალგაზრდას კარგ განათლებას აძლევს. მოხარული ვარ, რომ, ამ მხრივ, სხვა უნივერსიტეტებშიც არის ინტენსიური მუშაობა და უნივერსიტეტებს შორის კონკურენცია გაზრდილია, რაც განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ–ერთი წინაპირობაა.“

ბატონო ილიას, როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევის წინაშეა უმაღლესი განათლების სფერო საქართველოში?

განათლების სფერო ძალიან ბევრ კომპონენტს მოიცავს, ამიტომ საჭიროა კომპლექსური მიდგომა. საქართველოში ბაკალავრიატის დონეს ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ. მაგისტრატურაც გარკვეულწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ უფრო რთულად

The International Black Sea University (IBSU) has been noted to tirelessly pursue the provision of quality higher education to both foreigners and Georgians in the past 23 years. The IBSU actively collaborates with the world's leading universities to obtain new skills and experiences, through its annual program that allows hundreds of students go abroad for exchange programs. Ilyas Ciloglu, the rector of the university believes that to get qualified European education in Georgia is quite possible, and to prove that, he presented the following arguments:

"I make such judgments depending on our university. As you know, every year, we send about hundred students to study abroad via different exchange programs. When they come back, we meet them and compare the education they got here to the education they got there. They say we are more demanding toward students than in any other European universities. Apart from the students' feedback, it is important to consider what authorization experts say. For instance, last year they visited us and during the conversation we expressed our hope that we would soon catch up with the level of European education. One of them from Britain said we, here, have no less level of education as the rest of Europe.

It is quite remarkable that the students who graduated from our university go abroad to earn their Masters and PhD degrees. There, they get very positive remarks due to their English language proficiency. With these positives, we can say that IBSU provides students with good education. I am glad that other universities work intensively and the competition is higher among universities. That in itself, it is one of the prerequisites for improving the quality of education."

The rest of our interaction with Mr. Ilyas Ciloglu are contained in the excerpt below:

ვხედავ სადოქტორო პროგრამების განვითარებას. პირველ რიგში, პრობლემა დაფინანსების ნაკლებობაშია და შემდეგ უკვე ადამიანურ რესურსში. შოთა რუსთაველის ფონდი ყოველწლიურად დებს თანხას კვლევების განვითარებაში და აცხადებს სხვადასხვა კონკურსს. ეს დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯია პროფესორებისთვის. მაგრამ რამდენად საკმარისია, ეს არის საკითხავი. სამწუხაროდ, არც კერძო სექტორია კვლევების მიმართულებით დაინტერესებული, ისინი ვერ ხედავენ, თუ რა შეიძლება, მათ უნივერსიტეტმა მისცეს და არ უნდათ თანხის ჩადება, ამ დროს, კომპანიებს უცხოეთში უდიდესი ბიუჯეტი აქვთ გამოყოფილი კვლევისთვის.

განათლების სფერო მუდმივად საჭიროებს განვითარებას, რომ უპასუხოს დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. თქვენ როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით?

რა თქმა უნდა, მუდმივად იცვლება მიდგომა, იცვლება მოთხოვნაც. მაგალითად, 10 წლის წინ, სტუდენტს სხვა მოთხოვნა ჰქონდა და დღეს სხვა მოთხოვნა აქვთ. ძალიან დიდი მოთხოვნაა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ბიზნესის, საჯარო ადმინისტრირების, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებრბზე. იცვლება ბაზრის მოთხოვნაც; იმისთვის, რომ მათ ვუპასუხოთ, მუდმივად ვატარებთ კვლევას, თუ სად რა მოთხოვნაა. ახლახან, ოთხმა უნივერსიტეტმა მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს, რომ ჩავატარებთ ბაზრის მასშტაბურ კვლევას, სადაც იქნება გამოკითხული დამსაქმებელი, კურსდამთავრებულნი, სტუდენტები, და გავიგებთ, დღეს რა სხვადასხვა მოთხოვნა აქვს დამსაქმებელს.

კვლევებს ვატარებთ პროგრამულ დონეზეც. მაგალითად, არის ბიზნესის პროგრამა, ხშირად გვაქვს შეხვედრები კომპანიებთან, – კურსდამთავრებულებთან, ვეკითხები, თუ რა არ იცოდნენ, რომელი პროგრამა უნდა სცოდნოდათ და, შესაბამისად, ვნერგავთ ამა თუ იმ

Mr. Ilyas, what do you think are the challenges of higher education in Georgia today?

Education consists of many components therefore it requires a complex approach. I am very optimistic for the bachelor level education in Georgia. MA programs also meet the requirements but I see that the development of PhD programs is more problematic. First of all, the problem lies in the scarcity of finances and then in human resource. Shota Rustaveli National Science Foundation allocates finances in research development and announces various competitions and I must say that it is one big step forward for professors. However, the question is if that is sufficient to say the least. Unfortunately, the private sector has not shown any interest in research. They can't see what the university might give them and they don't want to invest money. This is unlike the private sector abroad which pumps huge amounts into the budget for research annually.

Education requires constant development in order to meet the employment market requirements. What are you doing regarding that?

Of course, the approach constantly changes, the demands change too. For example, students had a different demand ten years ago and today they have another. Information technology, business, public administration, law and international relations are in greater demand today. Market demands also change and in order to meet them, we must carry out research to know what is demanded and where. Recently, four universities signed a

პროგრამის სწავლებას.

ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობთ უცხოური ენების სწავლებას. სავალდებულო ინგლისური ენის გარდა, გვაქვს არჩევითი ენები – გერმანული, თურქული, რუსული, ფრანგული, ესპანური. ამრიგად, სტუდენტს საშუალება ეძლევა, კურსის დამთავრებამდე, მეორე ენაც ისწავლოს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში. 31 მარტს, ჩვენი სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნებში ჩატარებულ ოლიმპიადებში, პორტოში მიემგზავრებიან, ისინი მონაწილეობას მიიღებენ 5–დღიან მსოფლიო ოლიმპიადაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ამ ოლიმპიადაზე მსოფლიოდან ჩამოდის 400 სტუდენტი 130 ქვეყნიდან. ეს სტუდენტები არიან ჰარვარდიდან, ოქსფორდიდან და მსოფლიოს სხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან. ხელს ვუწყობთ სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ მსგავს შეჯიბრებებში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩამოგვყავს ლექტორები უცხოეთიდან. ასევე, ვმუშაობთ იმაზე, რომ ჩვენმა კადრმა უცხოეთში მიიღოს გამოცდილება, გაატარონ იქ ერთი სემესტრი, დაესწრონ ლექციებს, თავადაც წაიკითხონ და შემდეგ დაბრუნდნენ განახლებული ცოდნით. მაქსიმალურად ვმუშაობთ იმაზე, რომ ჩვენი სტუდენტები არ იყვნენ ჩამორჩენილნი იმ მხრივ, რისი განვითარებაც ხდება მსოფლიო განათლების სფეროში. მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, მოითხოვს დროს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, კარგ სურათს ვიღებთ.

თქვენ ბრძანდებით საქართველოში ერთ–ერთი წამყვანი უნივერსიტეტის რექტორი. როგორია IBSU–ს სწავლების მეთოდი და რას აკეთებთ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

გვახასიათებს ძალიან ლიბერალური მიდგომა. სტუდენტები თავისუფლად გრძნობენ თავს. თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აკადემიურ ამბიციას და ჩვენ მათ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს. მაღე, ჩვენი 5 სტუდენტი ჩინეთში მიდის სასწავლებლად, ასევე – ევროპაში. წელიწადში ასამდე სტუდენტი რომ გაცვლითი პროგრამით გაუშვა სასწავლებლად, არის ძალიან დიდი მიღწევა. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ რასაც ვაკეთებთ, არის დიდი წარმატება. საგნის მიხედვით ხდება სასწავლო პროგრამის შემუშავება. რა თქმა უნდა, ყველა პროგრამა გადის აკრედიტაციას. ამიტომ, ჩვენი მეთოდები უფრო არის პროგრამაზე დაფუძნებული.

ჩვენი პროფესორების განვითარებისთვის გვაქვს თანხა გამოყოფილი, რომ ისინი საზღვარგარეთ გავუშვათ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მაღალრეიტინგიან ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვისთვის ჰქონდეთ ანაზღაურება. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია გრანტის თემა. ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ პროფესორებმა გრანტი მიიღონ. ეს არის სხვადასხვა, ევროკავშირის მიერ გაცემული თუ ასევე – ქვეყანაში არსებული გრანტი. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს სფერო განვავითაროთ. მაგრამ მათ დონეს რომ დავეწიოთ, დიდი მუშაობა გვჭირდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ვუშვებთ პროფესორებს და, ასევე, ჩამოგვყავს ისინი უცხოეთიდან, და თავისუფლად არის შესაძლებელი იმავე ხარისხის განათლების მიღება IBSU–ში, როგორიც – უცხოეთში. გვყავდა ამერიკელი პროფესორი, რომელიც ასწავლიდა ბაკალავრიატზე და მან უთხრა სტუდენტებს, რომ საბაკალავრო პროგრამისთვის ამერიკაში ჩამოსვლა არ გჭირდებათ, ამერიკა არის აქ, თქვენთანო. თუმცა, უცხოეთში განათლების მისაღებად წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ იქ მხოლოდ განათლებას მიიღებთ. უცხოეთში ცხოვრება გეხმარება დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მაგალითად,

memorandum to conduct a large-scale market research where the inquiry will focus on employer companies, graduates and students and rom the results, we will be able to tell the different requirements employers seek.

Our researches are also program based. For example, there is a business program, where we meet companies often. We ask students what they didn't know, which program they should have known, and we implement our programs accordingly.

We pay too much attention to the foreign language learning. Apart from the compulsory English language learning we have elective languages - German, Turkish, Russian, French, and Spanish. So, students are able to speak another language upon graduation.

Our students' participation in international competitions is of utmost importance to us. On March 31st, our students who successfully participated in the Olympic competitions that took place in Central Asia and Caucasus countries, are going to Porto to take part in a 5-day world Olympic competition in information technologies. 400 students from 130 countries will come to this competition from Harvard, Oxford, and the world's other leading universities. We support them to take part in such competitions.

In order to share experience, we bring lecturers from abroad. Besides, we work to send our professors for one semester abroad to get experience, attend and deliver lectures, and come back with renewed knowledge. We do our best to ensure our students keep up with the pace of what is developing in the world's education. Thinking and putting things in place for the development of courses are time consuming but we are finally getting a good picture.

You are the Rector of one of the best universities in Georgia. What kind of teaching method does the IBSU have and what do you do to improve teaching quality?

We are characterized by a liberal approach. Students feel free, they can freely express their academic ambitions and we support them as much as possible. Soon, five (5) of our students will go to China to study. To send hundred students per year to Europe via exchange programs is a huge success. A lot still has to be done ahead but what we have currently, is a big accomplishment. Our teaching program is developed according to the subject and every program has earned their accreditation.

We have a special budget to send our professors abroad to participate in conferences, to publish articles in top journals without their salaries being affected. Also, the grant issue is very crucial. We work intensively to get grants for our professors. This are various one – from the European Union or local grants. I very want much to develop this field but to get their level, we will have to work very hard.

As I mentioned we send and bring professors from abroad so it is easily possible to get the same quality of education at IBSU as it is abroad. One of the professors who came here and taught undergraduates told students that they would not

თუ ხართ ნამყოფი გერმანიაში, თქვენ უკვე განვითარებული გაქვთ სხვადასხვა უნარი, როგორ აიღოთ ბილეთი, როგორ ჩაფრინდეთ უცხო ქვეყანაში, დაბინავდეთ, შეხვდეთ სხვა ადამიანებს, ეს ავითარებს კომუნიკაციის უნარს. სწავლობ, როგორ გადალახო დაბრკოლება მარტომ, და სხვა უამრავი. აქ სწავლის დროს კი მხოლოდ სწავლაზე ფიქრობ და ვერ განივითარებ სხვა საჭირო უნარს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

რა არის IBSU-ს მთავარი უპირატესობა?

IBSU გამოირჩევა ინგლისური ენის სწავლების უმაღლესი დონით. 23-წლიანი ისტორია გვაქვს, გავზარდეთ ჩვენი კადრი ამ სფეროში. ინგლისურ სექტორს რომ ირჩევს სტუდენტი, დაუშვებელია, ლექტორმა ისაუბროს ქართულად. როცა სწავლების ენა არის ინგლისური, მთლიანი კურსი ტარდება ამ ენაზე. ჩვენი კურსდამთავრებულთა ძალიან დიდი ნაწილი ადვილად საქმდება მათ მიერ არჩეული სფეროს განხრითაც და ასევე – სხვა მიმართულებითაც. დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი გვაქვს. მესამე არის, რომ გაცვლითი პროგრამებით ბევრს ვუშვებთ საზღვარგარეთ.

IBSU საერთაშორისო უნივერსიტეტია. რომელი ქვეყნიდან ჩამოდიან თქვენთან განათლების მისაღებად და როგორია უნივერსიტეტის საერთაშორისო ხარისხი?

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხარისხი. სტუდენტების ძალიან დიდი ნაწილი ჩამოდის შუა აზიის ქვეყნებიდან, მაგრამ ასევე არიან სტუდენტები ევროპიდან, ამერიკიდან, ისრაელიდან და აფრიკიდან. ყოველწლიურად, 23 ქვეყნიდან, დაახლოებით, 150 სტუდენტი ჩამოდის ჩვენთან სასწავლებლად. გვაქვს ძალიან დიდი პოტენციალი, გავზარდოთ უცხოელი სტუდენტების მიღების რაოდენობა. არის მაღალი აკადემიური მოსწრება. ჩვენი კურსდამთავრებულები უწევენ დამსახურებულ, – დადებით შეფასებას ჩვენს უნივერსიტეტს. თუ შენი კურსდამთავრებული არ არის შენს უნივერსიტეტში მიღებული განათლებით კმაყოფილი, სხვა სტუდენტი არ ჩამოვა. ან ჩამოვა, ნახავს, რომ არ არის სწავლების შესაბამისი დონე და უცხოელთა ნაკადის დონე შემცირდება ან შეწყდება. ეს კი

need to go to the US for their bachelor's programs, he said the US was here, with them. Though, going abroad for studying does not mean you will get only education. Living abroad will help you to become an independent person, you learn how to overcome obstacles all alone and many more. While studying here, you are focused on only studying and can't develop other necessary skills which are also very important.

What is IBSU's main advantage?

IBSU is distinguished for its highest level of English language teaching. We have a rich 23 year history, we have brought up our staff in that field of education. When a student chooses an English language instructed sector, it is impossible for a lecturer to conduct a class in Georgian. When an instruction language is English the entire course is conducted in that language. Our graduates are easily employed in their chosen fields and in other directions as well. We have a very high employment rate and we send many students abroad via exchange programs.

IBSU is an international university. From which countries do the students come here to get education and what kind of international quality do you have?

International quality is very important to us. A significant number of students come from Asian countries, from Europe, the US, Israel, and Africa. Each year, approximately 150 students come from 23 countries to study with us. We have an enormous potential to increase our number of foreign students. We have a high academic performance. Our students have a well-deserved appraisal for our university. If your graduate is not happy with the education she/he received, foreigners will not come or will come, see that the level of education is not appropriate and the flow of foreign students will decrease or will stop. That does not

ჩვენთან არ ხდება. ასევე, გვაქვს მემორანდუმები გაფორმებული მსოფლიოში სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ვიღებთ მონაწილეობას მსოფლიო საგანმანათლებლო კონფერენციებში, რაც საშუალებას იძლევა, უცხო ქვეყანამ გაიგოს ჩვენ შესახებ.

როგორია IBSU-ს საერთაშორისო ურთიერთობები და რა მნიშვნელობას ანიჭებთ საერთაშორისო თანამშრომლობას?

როგორც აღვნიშნე, მსოფლიოს ძალიან ბევრ უნივერსიტეტთან გვაქვს მემორანდუმი გაფორმებული, ვახორციელებთ გაცვლით პროგრამებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე – ჩვენთვის. ვმართავთ ზამთრის და საზაფხულო სკოლებს, უცხოელი სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. ხდება საერთო ცოდნის გაზიარება, მათი სტატიების ბეჭდვა IBSU-ს ჟურნალში და პირიქით – ჩვენც გვაქვს საშუალება, რომ ჩვენი სტატიები დაიბეჭდოს მათ ჟურნალში. ეს არის საუკეთესო პრაქტიკა, რაც, საერთო ჯამში, ძალიან დადებითად აისახება უნივერსიტეტის საერთაშორისო და – არა მარტო საერთაშორისო სტატუსზე. ძალიან დიდ ყურადღებას ვანიჭებთ ამ ურთიერთობებს.

როცა სტუდენტი მიდის გაცვლითი პროგრამით და ეს არის Erasmus+ დაფინანსებით, მაშინ სწავლება ფინანსდება ევროკავშირის მხრიდან. თუ სტუდენტი მიდის იმ უნივერსიტეტში, რომელთანაც IBSU-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი, მაშინ სტუდენტი არ იხდის იქ სწავლის თანხას, იხდის აქ, ან ნაწილობრივ იხდის იქ, ან მხოლოდ საცხოვრებლის ხარჯს უნაზღაურებენ, ან სტიპენდიას აძლევენ. გაჩნია, სახელდობრ, თუ როგორი მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული.

როგორც რექტორი, რა იმედს ამყარებთ IBSU-ზე, როგორ მოიაზრებთ მის მომავალს?

გვაქვს ყოველწლიური, სხვადასხვა გეგმა. სწავლა-განათლება ყოველდღიურად ვითარდება და მას სჭირდება ყოველდღიური მიდგომა. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, IBSU კვლევის მხრივ განვითარდეს. უფრო მეტი დაფინანსება, უფრო მეტი ჩართულობა. ვფიქრობ, ხუთ წელიწადში გვეყოლება უფრო მეტი მაღალი დონის კურსდამთავრებული, გვექნება მეტი საერთაშორისო მემორანდუმი, უფრო მეტი გაცვლითი პროგრამა, უფრო მეტი ტექნოლოგიური განვითარება და ტექნოლოგიური მიმართულების მეტი მხარდაჭერა, გვეყოლება უფრო მეტი უცხოელი სტუდენტი. ეს არის ის, რასაც ნახავთ 5 წლის შემდეგ. მაგრამ ამას სჭირდება ბევრი მუშაობა და ენერგია.

იმედს გამოვთქვამ, რომ განათლება უფრო განვითარდება საქართველოში, გვეყოლება მეტი წარმატებული კურსდამთავრებული. ძალიან დაინტერესებულნი არიან უცხოელი პროფესორები აქ ჩამოსვლით. ისინი ერთხელ რომ ჩამოდიან, ისევ გამოთქვამენ აქ დაბრუნების სურვილს, და ეს დიდი შესაძლებლობაა ქვეყნისთვის. მათ თავიანთი სამეგობრო და აკადემიური წრე ჰყავთ, ასევე – სტუდენტები, და ხდება ინფორმაციის გაზიარება, რაც დამატებითი შანსია, რომ ჩვენს ქვეყანაზე უფრო მეტი გაიგებს.

23 წელი არ არის დიდი დრო, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, დიდი მიღწევაა. თუ ოქროს მედალოსანი სტუდენტი აბარებს ჩვენთან, მას ეხსნება სწავლის საფასურის გადასახადი. არ ვართ ორიენტირებულნი მხოლოდ მოგებაზე. სტუდენტში დღეს დაბანდებული თანხა, მომავალში ჩადებულ კაპიტალს ნიშნავს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია შენ მიერ ჩადებული თანხის ამოღება, მაგრამ თუ მხოლოდ ამაზე ვიფიქრებთ, წინ ვერ წავალთ. შემოდიან სტუდენტები ბევრი პრობლემით და ამ პრობლემებს სწორი გადაჭრა სჭირდება, – ისე, რომლითაც ორივე მხარე ისარგებლებს. ცხოვრება სხვანაირია, ყველას თავისი პრობლემა აქვს და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ. სტუდენტები ამბობენ, რომ IBSU-ში მოსვლა უხარიათ, რასაც მე, პირადად, ყველაზე დიდ მიღწევად მივიჩნევ. ■

happen with us. We also signed memorandums with the world's different universities, for us to take part in world educational conferences and this enables foreign countries to learn about us.

What is IBSU's international relations and how important is international collaborations to you?

As I mentioned we have signed memorandums with many universities in the world, we implement exchange programs, and this is very important to us and the students. We conduct winter and summer schools, foreign students come here, we share knowledge with each other, we publish their articles in IBSU's journal, and we likewise have opportunity to publish ours in their journals. This is the best practice that is reflected on the university's international status. We pay huge attention to these relationships.

When a student goes through an exchange program and if it is with Erasmus' financial support, the study is financed by the EU. When the students goes to the university, the IBSU signs a memorandum with directives for them not to pay tuition fee there, they pay here or partially pay there, or they just seek finance for their accommodation, or they get scholarship. It depends on the type of memorandum we signed.

As a Rector, what hopes do you have for IBSU, how do you envision its future?

Education is developing every day and it requires an updated approach daily. We very much want IBSU's development in the research direction. More financial aid, much more involvement. I think in five years, we will have increased higher level graduates, will have more international memorandum, more exchange programs, more technological development, and more support for this field. We will have much more foreign students. This is what we hope to see in five years but it requires very hard work and energy.

I hope we will have more successful graduates. Foreign professors are very interested in coming here. When they come once, they express their wish to come back and this is an incredible opportunity for our country. They develop friendship and business network, they have students and information is spread and all of these serves as an additional chance for our country that many people do not know about it.

23 years is not such a long time but what has been done within the period is a big achievement. If gold medalist student enroll at our university, she/he is exempted from a tuition fee. We are not focused only on profit. Money invested in a student today provides capital for the future. Many students come up to me with different problems and they need to be fixed properly in a way that will be profitable for them and us. Life is different, everyone has their difficulties, and we try to support them. Students say they are happy to come to IBSU and personally for me, this is the greatest achievement. ■